გ. ჩუბინაშვილი

საქართველოს სამხატვრო აკადემიის მომავალი გეგმა

საქართველოს სამხატვრო აკადემიამ, თავის ხუთი წლის არსებობის განმავლობაში განვლო რამოდენიმე მნიშვნელოვანი საფეხური შინაგანი ზრდისა და თავის სტრუქტურისა და ფორმების ჩამოყალიბების საქმეში.

დაარსებიდან მოყოლებული დღევანდლამდე აკადემიას მეტად მძიმე სინამდვილეში მოუხდა ორგანიზაციული ჩამოყალიბება. ამ ხნის განმავლობაში აკადემია შეჩერდა იდეურათ იმ მიმართულებაზე, რომელიც ნაკარნახევია ცხოვრების სინამდვილით და თანადროულობის მიერ წამოყენებულია სამხატვრო კულტურის პრობლემების შესაფერისათ გადაჭრის აუცილებლობათ.

პირველი ორი წლის უსისტემობის თანდათანო-

ბითი გამოსწორებით, აკადემია მიუახლოვდა უმაღლეს სასწავლებლის გარკვეულ პროგრამას, რომელიც შეიცავს ოთხ ფაკულტეტს: არქიტექტურის, გრაფიკის, ქანდაკების და ფერებით წერის.

გარდა ამ ვრცელ საგანსწავლო გეგმისა, რომელიც შეიცავს ამ დარგთა საგნების სპეციალ სამხატვრო დისციპლინების დიფერენციალურ ცხრილს, ექვსასაუნელ ორ წელში შემოღებულია აგრეთვე პოლიტმინიმუმის სპეციალური საგნები.

როგორც დაკვანახა პროგრამის სწორედ ამ ნაწილის პრაქტიკულმა და თეორიულმა შესწავლამ, პოლიტიკურმა საგნებმა მიიღეს ცალკე დამოკიდებელ დარგის ხასიათი, და ამიტომაც განხილულია ალმამავალში ეს ნაწილი დაყენებულ იქნას შემდეგნაირად: I კურსზე იკითხება პოლიტიკური ეკონომია და საბჭოთა აშენებლობა მე-II კურსზე საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები და ეკონომიური პოლიტიკა და მე-III კურსზე კომუნისტური პარტიის ისტორია.

საშუალო დისციპლინების სპეციალ დარგთა შორის განხილულია ფერებით ფაკულტეტზე ცალკე ფერებიანი წერის ტექნიკის საგნის მემოლება, ქანდაკების ფაკულტეტზე კერამიკულ სახელოსნოების გაფართოება, გრაფიკის ფაკულტეტზე ეგრეთ წოდებულ „ოფორტის" სახელოსნოების დაარსება, საარქიტექტურო ფაკულტეტზე კი დაბალ გეოდეზიის ეპიზოდიური ხასიათის კურსის ნაცვლად მეტალიე სპეციალური კურსის შემოღება.

რასაკვირველია, პროგრამის ასეთი გაფართოება მოითხოვს შტატის გადიდებასთან ერთად, ეჭვგარეშეულად ყოველსა აგრეთვე შენობის გაფართოებას, ახალი კლასების მოწყობას. ბინის უქონლობა და სიიაწროვე დღემდე აკადემიისათვის ძძიმე და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს, მიუხედავათ იმისა რომ შენობის ნახევარი ნაწილი უკვე გადმოეცა აკადემიას სრულ საკუთრებად. ამ მხრივ აკადემიის ხუთი ან, შესაძლებელია, 10 წლის საპერსპექტივო გეგმაში დასმულია საკითხი ქანდაკებისა და ფერებით წერის ფაკულტეტებისათვის ახალი კლასების აშენების შესახებ. ამას თუ მიუმატებთ აკადემიის შენობის განთავისუფლებას კერძო მცხოვრებთაგან, შეიძლება ითქვას რომ ხუთი ან ათი წლის განმავლობაში აკადემია შესძლებს შესაფერისად მოეწყოს და პედაგოგიური მოღვაწეობა საჭირო სიმაღლეზე დააყენოს.

თუ გავიხსენებთ აკადემიის დაარსების მომენტს ხუთი წლის წინეთ, როდესაც მას არ ჰქონდა არც ფული, არც ინვენტარი, არც შესაფერისი სასწავლო ნივთები, არც შენობა გარდა ხუთი-ექვსი კლასისა, ისიც სხვის დანგრეულ სახლში და გაიხსენებთ აგრეთვე თუ რა ძძიმე და შეუმჩნეველი მუშაობაა შესრულებული ამ ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ უფრო მეტის რწმენით შეეხედავთ ჩვენი ერთად-ერთ უმაღლეს საბჭოთა სკოლის მომავალსა და წარმატებას.